



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები, ბაკალავრიატი

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

17.08.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები / Governance and Social Sciences
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სოციალური და ქვევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული 0319
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა მაჭარაშვილი, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია მესტირიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ბაგრატიონი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს „თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში“ მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან - მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის №264 გადაწყვეტილების თანახმად, მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში.

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს, კერძოდ, პროგრამის სტრუქტურა, როგორც ამას თავად უნივერსიტეტი აიდენტიფიცირებს, შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 50 კრედიტი, სოციალური მეცნიერების საბაზო განათლება - 30 კრედიტი, სოციალური მეცნიერების ძირითადი განათლება - 115 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი საგნები - 20 კრედიტი, პრაქტიკული განათლება - 8 კრედიტი, არჩევითი საგნები - 17 კრედიტი. საბაკალავრო პროგრამის სრული ხანგრძლივობა სტანდარტულად მოიცავს 8 აკადემიურ სემესტრს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

უშუალოდ ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 25 ივნისს, დისტანციურ რეჟიმში შეიკრიბა და 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა და გამოიკვეთა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 28 ივნისს ინტერვიუების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ხუთი წევრის (ნანა მაჭარაშვილი, მაია მესტირიშვილი, ირმა ბარათიონი, ილია ბოცვაძე, ნიკა გიგაური) შემადგენლობით ამა წლის 28 ივნისს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი. ვიზიტი შერეული სისტემით განხორციელდა. ჯგუფის ნაწილი, კონკრეტულად კი სამი წევრი - ნანა მაჭარაშვილი, მაია მესტირიშვილი და ნიკა გიგაური ადგილზე ვიზიტის ფორმატით, ხოლო 2 წევრი - ირმა ბარათიონი და ილია ბოცვაძე კი დისტანციურ რეჟიმში, zoom პლატფორმის მეშვეობით, ერთვებოდნენ ჯგუფის მუშაობაში. სამუშაო პროცესის ადმინისტრირება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. შერეული მოდელით წარიმართა მუშაობა თავად უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდანაც როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული ჩართვის გზით. ვიზიტის პირობებში კომისიამ შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტდა რიგი ინფორმაცია, დამატებით მოთხოვნილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია და მონაცემები. უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია იმავე დღეს, დღის მეორე ნახევარში

წარმოადგინა, ხოლო პროგრამული ბიუჯეტის მონაცემების დაზუსტებები 3 დღის ვადაში მოახდინა.

დისტანციურ რეჟიმში კომისიამ მუშაობა 10 საათიდან დაიწყო. სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან გაგრძელდა 19.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანთან. საბოლოოდ, კომისია ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, კაბინეტები საგამოცდო ცენტრი და ა.შ.) დათვალიერება. ვიზიტის ფარგლებში მოხდა ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის მიღება.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მართვასა და სოციალურ მეცნიერებებში სრულად აკმაყოფილებს მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტს (3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები) და მეტწილად შესაბამისობაშია პირველ და მეორე სტანდარტთან (1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა).

რეკომენდაციები

- ☐ რეკომენდირებულია დაზუსტდეს პროგრამის პირველი მიზანი, რათა გაცილებით რელევანტური იყოს მისი ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მექცესე დონესთან თავსებადობის უზრუნველყოფა.
- ☐ რეკომენდირებულია დაზუსტდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რათა შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
- ☐ სწავლის შედეგებს შორის შედეგი # 4 -ის შემთხვევაში - „კარგად ერკვევა თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებსა და სისტემებში და კომპეტენტურად მსჯელობს მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ პროცესებზე“ რეკომენდირებულია მინიმუმ 2 კურსის დამატება - პოლიტიკის მეცნიერების შესავალი და პოლიტიკური სისტემები/შედარებითი პოლიტიკა, რათა შედეგი მიღწევადად ჩაითვალოს.
- ☐ პროგრამის თანმიმდევრულობისა და მარტივიდან რთულისკენ დაგეგმვის პრინციპის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და კონკრეტულ, შედარებით ზედა საფეხურის კურსების შედეგების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაში მოხდეს წინმსწრები საგნების ინტეგრირება. მაგალითად, მოხდეს საერთაშორისო

ურთიერთობების შესავალი კურსის დამატება მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის კურსის ასაღებად; პოლიტიკური მეცნიერების შესავლისა და შედარებითი პოლიტიკის საგნის ინტეგრირება პროგრამის მესამე შედეგის მისაღწევად. პოლიტიკური მეცნიერების შესავალი კურსის აუცილებლობა იკვეთება სასწავლო კურსის: „Libri Magni VII - US - აშშ პოლიტიკა“ - გასავლელადაც.

- რეკომენდირებულია პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების უმრავლესობა, ისევე როგორც სასწავლო კურსის ფარგლებში წარმოდგენილი თემატიკა გამყარებული იყოს შესაბამისი საკითხავი, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურით.
- რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (2007 წლის 5 იანვარი) ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ეკონომიკის საფუძვლები, 2. თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები, 3. კავკასია და საქართველო, 4. ქვევითი ეკონომიკა, 5. რელიგია და პოლიტიკა, 6. რელიგიების საფუძვლები (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი), 7. Libri Magni I, 8. Libri Magni II და 9. Libri Magni VIII სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების ფორმატისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა და მეთოდებიდან გამომდინარე შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მითითება.
- აკრედიტაციის სტანდარტებიდან გამომდინარე, მოხდეს პრაქტიკული კომპონენტის „მუშაობა ორგანიზაციაში“ ინსტიტუციონალიზება და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად რეკომენდირებულია გაფორმდეს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან (პრაქტიკის მიზნის, ხანგრძლივობისა და სტუდენტთა რაოდენობის მითითებით)
- რეკომენდებულია, შემუშავდეს პრაქტიკული კომპონენტის „მუშაობა ორგანიზაციაში“ სილაბუსში დამსაქმებლის მხრიდან სტუდენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები, რათა შეფასება იყოს გაზომვადი და სტუდენტი არ ფასდებოდეს მხოლოდ 20 ან 0 ქულით და განხორციელდეს 0-20-ს შორის შესაბამისი რანჟირების სისტემით. .
- რეკომენდებულია, მოხდეს სტუდენტის მხრიდან შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმის ინსტიტუციონალიზება და უნიფიცირება. მიზანშეწონილია მართვის სკოლის ადმინისტრაციამ გამოკვეთოს და შეიმუშავოს სწავლის შედეგების გასაჩივრების უფრო ობიექტური და მოქნილი მექანიზმი; კერძოდ - დაფიქსირებული შეფასების ხელახალ გადახედვაზე ეფექტურობის ასამაღლებლად - სააპელაციო საქმის წარმოების პირველად ეტაპზე - გადაწყვეტილების მართებულობის სისწორის შემოწმება-დასადგენად უფლებამოსილება მიენიჭოს არა თავად სასწავლო კურსის წამყვან-შემფასებელ ლექტორს, არამედ - სტუდენტთა დეკანატის სტრუქტურული რგოლის წარმომადგენლობაში ნეიტრალური პოზიციის მქონე სპეციალურ აკადემიურ პერსონალს, ხოლო პროცესის ეტაპობრივ მსვლელობაში - კონტროლის მექანიზმის ეთიკური პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს.
- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის მეტად ფორმალიზება, რაც გულისხმობს საქმიანობის ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მიმართავდეს სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ე.წ. პროცესზე მიდევნების მეთოდით (Process Tracing Method) და შესაბამისი გამოკითხვის ფორმებიც ინტეგრირებული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.
- სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს შესაბამისი შედეგების მიღწევის (მაგ., გაცნობის, გადრმავეების თუ განმტკიცების დონეზე) დონის აღმნიშვნელი განმარტებების დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას იმის დადგენა, თუ რა დონეზეა მიღწევადი ესა თუ ის პროგრამის ფარგლებში მისაღწევი შედეგი. ანალოგიური მიდგომა სასურველია გამოყენებული იყოს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან თავსებადობის რუკის შემთხვევაშიც.

- სასურველია პროგრამის კურიკულუმის ჰუმანიტარული დისციპლინის რვა სემესტრიანი სერიული ციკლის - 'დიადი წიგნები' [Libri Magni] და ოთხსემესტრიანი სერიული ციკლის 'იდეების ისტორია' სოციალურ მეცნიერებებისთვის რელევანტურ ჭრილში განხილვაზე მეტი აქცენტირება როგორც თავად პროგრამაში, ისე თითოეულ სილაბუსში, რათა ამ კურსების საერთო პროგრამულ შედეგებთან შესაბამისი დაკავშირება გაცილებით რელევანტურად გამოიყურებოდეს.
- სასურველია, რომ პროგრამის სახელწოდების გამოყენება ხდებოდეს ერთი და იგივე ფორმით, მათ შორის აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და სახელდება - სოციალურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა არ გამოიყენებოდეს მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ნაცვლად.
- მიზანშეწონილია, რომ მართვის მოდულის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების როგორც შინაარსობრივი, ისე ანალიტიკური პოტენციალი გაუმჯობესდეს და პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე დამატებითი კურსების სახით მასში ინტეგრირდეს მართვის დამატებითი საგნები - მინიმუმ წარმოდგენილი იყოს პოლიტიკის ანალიზის, როგორც პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ცოდნისა და უნარის გამომუშავებისთვის საჭირო კურსი იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი სწავლის ერთ-ერთ შედეგია.
- მიზანშეწონილია, პროგრამის კურიკულუმში მაქსიმალურად ინტერდისციპლინარული სწავლების შინაარსის მიზნობრივი დაბალანსების და, კერძოდ, საგნებს შორის თემატიკის გადაფარვის თავიდან აცილების მისაღწევად „ფილოსოფიის“ კურსის შინაარსი - 'ფილოსოფიური იდეების' ერთგვარად აკუმულირებული და თავისებურად ინტერპრეტირებული ფორმით - გაემიჯნოს „იდეების ისტორიის“ დისციპლინის თემატური მასალის ანალოგიას.
- სასურველია გაიზარდოს სტუდენტების პირდაპირი მონაწილეობის შესაძლებლობები პროგრამის შექმნასა და თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობაში მათი მონაწილეობის გზით.
- სასურველია, საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ნათლად, დამდგარი (დასრულებული) სწავლის შედეგის (და არა სამომავლო მოქმედების) წარმოდგენით.
- სასურველია კურსის - „რაოდენობრივი კვლევის მეთოდების“ სილაბუსის თემატიკას დაემატოს ექსპერიმენტი, როგორც სოციალური მეცნიერებათა კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიდგომა.
- სასურველია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნის „ფსიქოლოგია“ მეორე მოდული - „სოციალური ფსიქოლოგია“ დაზუსტდეს საკითხავი მასალის მითითებით, ხოლო მესამე მოდულის - „პიროვნება“ ფარგლებში წარმოდგენილი ლიტერატურა გადაიხედოს და ჩანაცვლდეს თანამედროვე ლიტერატურით.
- სასურველია, სასწავლო კურსის „თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიების“ დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს მის შინაარსთან და ეწოდოს ან შესავალი პოლიტიკურ იდეოლოგიებში ან კლასიკური პოლიტიკური იდეოლოგიები.
- მიზანშეწონილია, „ლიტერატურა და ხელოვნების“ და „ფილოსოფიის“ სასწავლო კურსის სილაბუსებში მიეთითოს გამოსაყენებელი ბიბლიოგრაფიული მასალა, ხოლო მითითების შემთხვევაში - არ იყოს წარმოდგენილი მხოლოდ თემატური ტექსტი-პირველწყაროების დასახელებათა ჩამონათვალი - წიგნის ფორმატის ამსახველი ზუსტი საგამომცემლო რეკვიზიტების გარეშე.
- პროგრამის კურიკულუმში მაქსიმალურად ინტერდისციპლინარული სწავლების შინაარსის მიზნობრივი დაბალანსების პრინციპით - ფილოსოფიური მიმართულების მოქმედ სასწავლო კურსებში მიზანშეწონილია, „ფილოსოფიის“ სასწავლო კურსის ჩანაცვლება მოდიფიკაციური ვერსიით - „შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში“, რითაც კურიკულუმის სტრუქტურაში მოიხსნება ერთგვარი ალოგიკურობის ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია დღეს ამ სახელწოდებებით მოქმედი კურსებით - „ფილოსოფია“ და '„ფილოსოფია როგორც პრობლემის გადაჭრის დისციპლინა“.
- სასურველია „ფილოსოფიის“ სასწავლო კურსი ფარავდეს ფილოსოფიის დარგობრივი ტერმინოლოგიისა და პრაქტიკული ფილოსოფიის დარგთაშორის ცნებით აპარატს, რომელიც პროგრამის ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე ფილოსოფიის სოციალურ მეცნიერებებთან დასაკავშირებლად რელევანტური.

- სასურველია, „იდეების ისტორიის“ სასწავლო კურსის თემატურ მასალაში წარმოდგენილი მითოლოგიური ჰიპოთეზების, რელიგიური სისტემების, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი იდეების სოციალური გენეზისის კონკრეტულ პრობლემებზე აქცენტირება მეტად დეტალურად განხორციელდეს.
- სასწავლო კურსი - საჯარო პოლიტიკის პროცესი II სასურველია დაზუსტდეს როგორც პრაქტიკულში, ვინაიდან სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათები მთლიანად ეთმობა მოწვეული სტუმრების პირობებში წარმოდგენილი თემატიკის განხილვას.
- მიზანშეწონილია, რომ რვა სემესტრიანი სერიული ციკლი - 'დიადი წიგნების' [Libri Magni] სილაბუსებს დაემატოს აღნიშნული წიგნების შესახებ რელევანტური სხვა როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურა, რაც განსახილველი ტექსტის სხვა ტექსტებთან შედარების, წიგნის შექმნის ისტორიული და სოციალური კონტექსტის გაანალიზებისა და მასში წამოჭრილი პრობლემური საკითხების სოციალური მეცნიერებებისთვის რელევანტურ თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირების შესაძლებლობებს გაუზრდის სტუდენტებს.
- სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომების განსაზღვრისას, მიზანშეწონილია იმის გათვალისწინება, რომ ინტერაქტიური მეთოდი, როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების ფართოდ გამოყენებული და აპრობირებული წესების სისტემა, მოცემულ შემთხვევაში - პროგრამის კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან და ლიბერალური განათლების სოციალური კონტექსტის თავისებურებიდან გამომდინარე - არ გულისხმობდეს მხოლოდ ე. წ. 'სოკრატეს მეთოდის' დომინანტობას, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია წარმოდგენილი და იტოვებდეს რესურსს სხვა მეთოდების დასაინტეგრირებად, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ამ რეალობას პროგრამა ნამდვილად ადასტურებს.
- სასურველია, მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების კომპონენტის შემადგენლობა უფრო დაკონკრეტდეს [მეტად გაზომვადი შედეგების მისაღწევად], კერძოდ - მასში გამოიყოს მეთოდოლოგიის ორი სექტორი: სალექციო მუშაობის მეთოდები და ჯგუფში აქტივობების ანუ პრაქტიკული მუშაობის მეთოდები [შესაბამისად, 'ჯგუფური მუშაობა' და 'პრაქტიკული მეთოდები' - როგორც ცალკე აღებული მეთოდის ტიპის - ფორმალური დასახელება გაუქმდეს]. მითითებულ კორექტირებულ სქემაში მიზანშეწონილი იქნება გარკვეული ცვლილებების შეტანა როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი ასპექტით.
- სასურველია უსდ-მ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლის მიზნით დანერგოს პლაგიატის პროგრამა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის, მათ შორის ჯუნიორ პროექტისა და საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისთვის ძირითადი პრინციპების - სანდოობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის გასაძლიერებლად.
- სასურველია საგამოცდო ნაშრომების დაშიფვრის მექანიზმის დანერგვა;
- სასურველია საგნის სილაბუსებში, შეფასების ობიექტურობის პრინციპების გათვალისწინებით, მოხდეს შეფასების გრადაციებს შორის თანაბარი ინტერვალების დაცვა, ასევე განხორციელდეს კურსის შეფასების სისტემის გრადაციებში შესაბამის აღმწერებთან მიმართებაში განსაზღვრული ქულის თავსებადობის გადახედვა.
- სასურველია მეტი ინფორმაცია ჰქონდეს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აფილიაციის პირობების შესახებ, ისევე როგორც სხვა მხარდამჭერი ინსტრუმენტების შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს საკუთარ აკადემიურ პერსონალს განვითარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.
- სასურველია უნივერსიტეტი მეტად აქტიურად ადევნებდეს თვალს და იცავდეს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის საკუთარი რეგულაციებით დადგენილ ნიშნულებს.
- სასურველია, რომ პილოტური რეჟიმიდან დროის მცირე მონაკვეთშივე მოხდეს აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემის სრულყოფილი ინტეგრირება სამეცნიერო და სასწავლო პროდუქტიულობის შედეგებზე დაყრდნობით პერსონალის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და შემდგომი წახალისების მიზნით.
- სასურველია, თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები და მოახდინოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული საჭიროებების დაკმაყოფილება არა წერტილოვანი დახმარებით, რასაც დღეს აქვს ადგილი, არამედ გამართული საუნივერსიტეტო ინსტიტუციური მექანიზმების ფორმალიზებული

შეთავაზებით, რომლის საბიუჯეტო მხარდაჭერაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისად, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა აღნიშნულის ფინანსური რეზერვები გაწერილია.

- სასურველია დამსაქმებლების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფა, შესაბამისი ანაგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება მათი რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება.
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას.
- სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;
- სასურველია სასწავლო კურსის სწავლის შედეგის პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობა განისაზღვროს მიღწევის დონის დაკონკრეტებით, მაგ: გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რუკის მაღალ დონეს პროგრამის ფუნქციონალთან მიმართებაში;
- სასურველია სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგის გაზომვისთვის საჭირო აქტივობა/ფორმა და ასევე შეიქმნას ამ შედეგის გაზომვის ინდიკატორის დონე (მაგ: ვერ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს ან სხვა მსგავსი სისტემა), რაც უზრუნველყოფს შემდგომი სტატისტიკური ანალიზის მაღალ რეპრეზენტაბელობას.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- გასაზიარებელია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ცოდნის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერა მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროგრამის მხარდასაჭერად, მათ შორის სოციალურად დაუცველთა ოჯახების წარმომადგენლებისათვის საუნივერსიტეტო სტიპენდიების სახით და საუნივერსიტეტო კვლევების მხარდასაჭერად.
- საუნივერსიტეტო პოლიტიკა აბიტურიენტების მოსაზიდად - მართვის სკოლის ყოველწლიური კონკურსები აბიტურიენტებისათვის, მათ შორის De Re Publica, რომლის მიზანიც აბიტურიენტებს შორის პოლიტიკისადმი, საჯარო სივრცისადმი და საზოგადოებრივი მეცნიერებებისადმი ინტერესის გამოვლენაა და რომლის საფუძველზეც კონკურსში გამარჯვებულებს სასწავლო გრანტების მიღების შესაძლებლობა ეძლევათ და კონკურსი - "თავისუფალი აზროვნება" აბიტურიენტებისათვის, რომელთა გამარჯვებულები ასევე იღებენ სასწავლო გრანტებს. ამ კონკურსის ამოცანაც აბიტურიენტებს შორის თავისუფალი, ორიგინალური და ლაკონური მსჯელობის და წერის უნარის განვითარებაა.
- განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა გუნდურობა და მაღალი ორგანიზაციული კულტურა, რაც პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევის გარანტორია.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ წინა აკრედიტაციის პირობებში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები წარმოდგენილ პროგრამაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული.

□ პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი / საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება პროგრამის მიზნები და უმთავრესი დანიშნულება, რაც ფართო ფორმულირებით სოციალურ მეცნიერებათა სფეროში ლიბერალური განათლების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან, რაც ვიზიტის დროსაც აქტიურად დადასტურდა, დგინდება, რომ მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფცია ეყრდნობა ევროპისა და აშშ-ის ცნობილ უნივერსიტეტების [მათ შორის - ვაშტინგტონის უნივერსიტეტის სენტ ლუისში, ოქსფორდის უნივერსიტეტის, პრადის უნივერსიტეტის, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტისა და მილანის უნივერსიტეტის] ლიბერალური განათლების პროგრამულ პრაქტიკებს და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის უშუალო გამოცდილებას, რომელთაც საბაკალავრო სწავლების დონეზე ანალოგიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია გააჩნიათ.

ვიზიტის დროს დადასტურდა მასში ჩართული სამეცნიერო-აკადემიური პერსონალის უშუალო აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესებაში, რომლებიც პროგრამის შექმნიდან დღემდე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წინსვლის, დახვეწისა და განვითარების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ.

პროგრამის აღწერილობასა და თვითშეფასების ანგარიშში ხაზგასმულია მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის შემდეგი მიზნები: სტუდენტს ჰქონდეს კარგი და თანამედროვე ზოგადი განათლება; სტუდენტი ფლობდეს სოციალური მეცნიერებების მიმართულებების - ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის თუ კულტურის კვლევების, პოლიტიკის მეცნიერებების - შესახებ ცოდნას; სტუდენტს შეეძლოს სოციალურ მეცნიერებათა შორის საკუთარი ინტერესების აღმოჩენა და განვითარება; სტუდენტმა განივითაროს პრობლემის კონტექსტური და მრავალმხრივი დანახვისა და ანალიზის უნარი, დაინახოს ესა თუ ის საკითხი თუ პრობლემა ისტორიულ, პოლიტიკურ, ხელოვნების, ლიტერატურულ და რელიგიურ

ჭრილში; სტუდენტი ფლობდეს კვლევის დაგეგმვისთვისა და განხორციელებისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს; სტუდენტმა გამოიმუშაოს შემოქმედებითი და აკადემიური წერის, ასევე ორიგინალური კვლევის წერილობით შესრულების და კვლევის შედეგების ეფექტიანად წარდგენის უნარი; და სურვილის შემთხვევაში, კურსდამთავრებულმა შეძლოს სწავლა განაგრძოს შემდგომი დონის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

თუმცა, მიზნების რიგი ფორმულირება ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას. მაგალითად, პირველი მიზნის ფორმულირებაში (სტუდენტს ჰქონდეს კარგი და თანამედროვე ზოგადი განათლება) „ზოგადი განათლება“ იმ პირობებში, როცა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონეზე წარმოდგენილი პროგრამები სრული ზოგადი განათლების შემდგომ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას უნდა ავითარებდეს, ფორმულირება „ზოგადი“ ნაკლებ რელევანტურად გამოიყურება და სასურველია შეიცვალოს დეფინიციით „ფართო“. აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ფორმულირება „კარგი“ იწვევს დამატებით კითხვებს გაზომვისა და გაანალიზების კონკრეტული ინსტრუმენტების წარმოდგენის გარეშე, რასაც სწავლის შედეგებში თუ რომელ დონეზეა ის მიღწეული ვერ ვკითხულობთ.

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რასაც ემსახურება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „მართვისა და სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა“ ეროვნული შრომის ბაზრის სფეროების მიმოხილვითა და განვითარების ტენდენციების ჩვენებით, რომელიც წარმოდგენილია როგორც რესურსი კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის.

პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. თანადროულად, გასაზიარებელია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ცოდნის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერა მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროგრამის მხარდასაჭერად, მათ შორის სოციალურად დაუცველთა ოჯახების წარმომადგენლებისათვის საუნივერსიტეტო სტიპენდიების სახით და საუნივერსიტეტო კვლევების მხარდასაჭერად.

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია მიუხედავად საკმაოდ პოზიტიური მაჩვენებლებისა, როგორც ეს თვითშეფასების ჯგუფის ვიზიტის დროს დადასტურდა, არ წარმოადგენს განმსაზღვრელ თვითმიზანს და არის განხილული როგორც დამხარე შესაძლებლობა როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. არგუმენტად გამოიყენება ის, რომ აღნიშნული პროგრამის საფუძველზე ქვეყნის შიგნით ადგილზევე იქმნება საკმარისი რესურსი, ცოდნა, უნარები და კომპეტენციები და ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები გამოიყენება როგორც დამატებითი რესურსი.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია და ამ მხრივ აქტიურად გამოიყენება უნივერსიტეტის ვებგვერდი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები / კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურული აგების, შემუშავებისა და განვითარების სტრატეგიული გეგმა და მეთოდოლოგიური ტაქტიკა
- მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული სათანადო დოკუმენტაცია
- მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის [რაოდენობრივი და

თვისებრივი] კვლევის მონაცემები. • ხელშეკრულებები და მემორანდუმები ინსტიტუციური საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების, კულტურულ-საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების წარმომადგენლობასთან. • თავისუფალი უნივერსიტეტის ვებ-გვერდი სათანადო ცნობარით.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები • რეკომენდირებულია დაზუსტდეს პროგრამის პირველი მიზანი, რათა გაცილებით რელევანტური იყოს მისი ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონესთან თავსებადობის უზრუნველყოფა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის/ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • გასაზიარებელია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ცოდნის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერა მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროგრამის მხარდასაჭერად, მათ შორის სოციალურად დაუცველთა ოჯახების წარმომადგენლებისათვის საუნივერსიტეტო სტიპენდიების სახით და საუნივერსიტეტო კვლევების მხარდასაჭერად.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამას გააჩნია 9 შედეგი, რომელიც მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულს უნდა დასტურდებოდეს:

1. გააზრებული აქვს, თუ რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; იღებს მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აცნობიერებს სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას;
2. აქვს სოციალურ მეცნიერებების ცალკეული დარგების კარგი ცოდნა: ეკონომიკის, პოლიტიკის მეცნიერების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის თუ კულტურის კვლევების. ასევე, ფლობს სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინურ საკითხებზე ცოდნას;
3. იცის ფილოსოფიური აზრის ისტორია ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე და შეუძლია ამ აზრის კონტექსტუალიზაცია და აპლიკაცია;
4. კარგად ერკვევა თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებსა და სისტემებში და კომპეტენტურად მსჯელობს მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ პროცესებზე;
5. ესმის თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა და ფლობს კოდის წერის საფუძვლებს. საჭიროების შემთხვევაში, აქვს ბაზა, რომ მომავალში შეძლოს ციფრული ტექნოლოგიების კვლევის პროცესში აპლიკაცია;
6. გეგმავს კვლევას, იყენებს რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევის მეთოდებს, ახორციელებს მას და აანალიზებს მიღებულ შედეგებს. ამასთან, შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს თეორიული კვლევა, ქართულ ენაზე დაწეროს კვლევითი ნაშრომი აკადემიური ნორმების სრული დაცვით;
7. სამეცნიერო ლიტერატურას ინგლისურ ენაზე თავისუფლად კითხულობს, აანალიზებს, წარმართავს ტექსტზე დისკუსიასა და ინგლისურად ასრულებს ნაშრომს;
8. დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს მცირე მოცულობის პროექტებს;
9. გეგმავს საკუთარ კარიერას სწავლის დასრულების შემდეგ და აქვს გამოცდილება პოტენციურ დამსაქმებელთან გასაუბრების წარმართვის

ზემოთჩამოთვლილი 9 შედეგი წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე, რომელსაც გარდა მიზნებისა და შედეგების შორის თავსებადობის აღმნიშვნელისა არ ახლავს შესაბამისი შედეგების მიღწევის (მაგ., გაცნობის, გადრმავეების თუ განმტკიცების დონეზე) დონის აღმნიშვნელი განმარტებები, რაც ართულებს იმის დადგენის შესაძლებლობას, თუ რა დონეზეა მიღწევადი ესა თუ ის პროგრამის ფარგლებში მისაღწევი შედეგი. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის მიერ მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მათ შორის არც პროგრამის კურიკულუმის სწავლის შედეგების რუკაზე, არ ჩანს ბმა, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის დაზუსტებული არაა და ვერ ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

შესაბამისად, სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს კონკრეტულად, ცოდნის გამოყენების დონეების მითითებით, რათა შესაძლებელი იყოს შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევადობის გაზომვა. მაგალითად, შედეგის #2 -ის შემთხვევაში - აქვს სოციალურ მეცნიერებების ცალკეული დარგების კარგი ცოდნა: ეკონომიკის, პოლიტიკის მეცნიერების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის თუ კულტურის კვლევების. ასევე, ფლობს სოციალური მეცნიერებების

ინტერდისციპლინურ საკითხებზე ცოდნას, დასაზუსტებელია, თუ რას ნიშნავს კარგი ცოდნა და რა დონეზე უნდა იყოს მიღწეული.

სწავლის შედეგებს შორის შედეგი # 4 -ის შემთხვევაში - „კარგად ერკვევა თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებსა და სისტემებში და კომპეტენტურად მსჯელობს მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ პროცესებზე“ ჩნდება კითხვა, თუ რამდენად უზრუნველყოფს ამ შედეგის დადგომას პროგრამა, ვინაიდან პროგრამაში არ ისწავლება არ პოლიტიკის მეცნიერების შესავალი და არც პოლიტიკური სისტემები/შედარებითი პოლიტიკა და მისი მიღწევა თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიების, რელიგიისა და პოლიტიკის, ან თუნდაც საერთაშორისო ურთიერთობაზე ფოკუსირებული კურსის - მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის და საბჭოთა კულტურა და პოლიტიკის კურსიდან გამომდინარე მსგავსი შედეგის მიღწევა, ნაკლებ რეალისტურად გამოიყურება.

პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების ფარგლებში გამოყენებული სამუშაო შეხვედრებით/ვორქშოპებით და აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტის დროს მეტწილად დადასტურებული ინფორმაციით იმის შესახებ, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრის დროსაც, რომლის პირობებში ორივე ჯგუფის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ჰქონდათ სწავლის პროცესში საკუთარი უკუკავშირის როგორც გამოკითხვების, ისე პროგრამის ხელმძღვანელთან პირდაპირი შეხვედრების პირობებში გაზიარების საშუალება რეაგირების მაღალი ალბათობით. თუმცა, კურსდამთავრებულებთან მიმართებაში დადასტურდა, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რასაც პოზიტიურად აფასებენ, მაგრამ პროგრამის სწავლის შედეგების სწავლის დამთავრების შემდგომი შეფასების შესაძლებლობები არ დაფიქსირებულა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მექანიზმები გულისხმობს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვის და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმები და პრაქტიკები ნაკლებად დადასტურდა ვიზიტის პროცესში. შესაბამისად, სასურველია, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მიმართავდეს სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ე.წ. პროცესზე მიდევნების მეთოდით (Process Tracing Method) და შესაბამისი გამოკითხვის ფორმებიც ინტეგრირებული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები / კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

• შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მართვისა და

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული სათანადო დოკუმენტაცია • საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების სილაბუსები • საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურული აგების, შემუშავებისა და განვითარების სტრატეგიული გეგმა და მეთოდოლოგიური ტაქტიკა - კურიკულუმის [სწავლის შედეგების] რუკის მონაცემების გათვალისწინებით • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და მექანიზმები • კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები - მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის [რაოდენობრივი და თვისებრივი] კვლევის მონაცემების ანალიზი. • სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის აკადემიური და მოწვეული პედაგოგიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლობასთან - ჩატარებული ინტერვიუს მონაცემები.	რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები • რეკომენდირებულია დაზუსტდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რათა შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. • სწავლის შედეგებს შორის შედეგი # 4 -ის შემთხვევაში - „კარგად ერკვევა თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებსა და სისტემებში და კომპეტენტურად მსჯელობს მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ პროცესებზე“ რეკომენდირებულია მინიმუმ 2 კურსის დამატება - პოლიტიკის მეცნიერების შესავალი და პოლიტიკური სისტემები/შედარებითი პოლიტიკა, რათა შედეგი მიღწევადად ჩაითვალოს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს შესაბამისი შედეგების მიღწევის (მაგ., გაცნობის, გაღრმავების თუ განმტკიცების დონეზე) დონის აღმნიშვნელი განმარტებების დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას იმის დადგენა, თუ რა დონეზეა მიღწევადი ესა თუ ის პროგრამის ფარგლებში მისაღწევი შედეგი. ანალოგიური მიდგომა სასურველია გამოყენებული იყოს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან თავსებადობის რუკის შემთხვევაშიც. • სასურველია, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მიმართავდეს სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ე.წ. პროცესზე მიდევნების მეთოდით (Process Tracing Method) და შესაბამისი გამოკითხვის ფორმებიც ინტეგრირებული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.	საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○	შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა წარმოებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. კერძოდ, სწავლის უფლების მოპოვება შეუძლია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელ ან მასთან გათანაბრებულ პირს - „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/6

ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად. აბიტურიენტთა ხელშეწყობისა და სტუდენტთა მობილობის მიზნით - მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას გათვალისწინებულია გამონაკლისი შემთხვევებიც, კერძოდ - ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ან უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოყვანის წესით - რაც ასევე სრულად რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის დადგენილებებთან თანხვედრით. მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვისთვის წინასწარ განსაზღვრული აუცილებელი მოთხოვნები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს სათანადო ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირების პროგრამაში ჩართვას, რაც პირდაპირ უკავშირდება პროგრამის შინაარსს - პროგრამაზე წარმატებული სწავლისთვის აუცილებელ საჭიროებებსა და სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებისა და მასთან დაკავშირებული არსებითი საკითხების შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე - რუბრიკით „როგორ ჩავაბარო თავისუფალ უნივერსიტეტში“ http://freeuni.edu.ge/node/396	მტკიცებულებები/ინდიკატორები - კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული სათანადო დოკუმენტაცია
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები	რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის □ გასათვალისწინებელია საუნივერსიტეტო პოლიტიკა აბიტურიენტების მოსაზიდად - მართვის სკოლის ყოველწლიური კონკურსები აბიტურიენტებისათვის, მათ შორის De Re Publica, რომლის მიზანიც აბიტურიენტებს შორის პოლიტიკისადმი, საჯარო სივრცისადმი და საზოგადოებრივი მეცნიერებებისადმი ინტერესის გამოვლენაა და რომლის საფუძველზეც კონკურსში გამარჯვებულებს სასწავლო გრანტების მიღების შესაძლებლობა ეძლევათ და კონკურსი - "თავისუფალი აზროვნება" აბიტურიენტებისათვის, რომელთა გამარჯვებულები ასევე იღებენ სასწავლო გრანტებს. ამ კონკურსის ამოცანაც აბიტურიენტებს შორის თავისუფალი, ორიგინალური და ლაკონიური მსჯელობის და წერის უნარის განვითარებაა.	მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა შედგენილია თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით და მათთან შესაბამისობაში. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი ხარისხის საქმიანი კულტურით შემუშავების პრინციპზე ორიენტირებით - პროგრამის შექმნის პროცესში იკვეთება მეტ-ნაკლებად ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის - დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების] აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა. თუმცა, სტუდენტთა ჩართულობა მხოლოდ არაპირდაპირი გზით - ირიბი მონაწილეობისა და მათი უკუკავშირის გათვალისწინების საფუძველზე მოხდა.

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტებით: პროგრამის სახელწოდება; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; - სწავლის მოცულობა კრედიტებით; სწავლების/სწავლის ენა; პროგრამის მიზანი; დასაქმების სფეროები; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობა; სწავლის შედეგები; სწავლებისა და სწავლის მეთოდები; სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; სასწავლო გეგმა და ადამიანური და მატერიალური რესურსი.

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში შესწავლილი, გაანალიზებული და გათვალისწინებული იქნა უცხოური, კერძოდ, ამერიკული და ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების სკოლებისა და ფაკულტეტების სოციალური მეცნიერებებისა და ინტერდისციპლინარული საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამების გამოცდილება, მათ შორისაა: ვაშინგტონის უნივერსიტეტი [Washington University in St. Louis] - <https://wustl.edu/>; კარლის უნივერსიტეტი პრაღაში - [ისტორიულად - 'პრაღის უნივერსიტეტი'] [Charles University in Prague] - <https://studyatiss.fsv.cuni.cz/>; ოქსფორდის უნივერსიტეტი [University of Oxford] <https://www.ox.ac.uk/admissions/graduate/courses/social-sciences>; მილანის უნივერსიტეტი [The University of Milan] <https://www.unimi.it/en/education>.

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურა დაგეგმილი და შემუშავებულია სკოლის ძირითადი კონცეპტუალური მიდგომის პრინციპით - თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მეცნიერებების ფუნდამენტური შესწავლის შესაძლებლობათა რეალიზაცია მიღწევადია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნაზე და ინტერდისციპლინარულ მიმართულებებზე გავლით.

შესაბამისად, პროგრამის კურიკულუმის აღწერილობაში მოცემულია: ჰუმანიტარული დისციპლინის რვა სემესტრიანი სერიული ციკლი - 'დიადი წიგნები' [Libri Magni] - ცალკეული სემესტრის მანძილზე კონკრეტული კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოების [ანტიკური ხანიდან თანამედროვე ეპოქამდე] დეტალური ე. წ. 'დაკვირვებული' და ანალიტიკური კითხვის ფორმატით და ინტერდისციპლინური საგნების ოთხსემესტრიანი სერიული ციკლი 'იდეების ისტორია' - ევროპული ცივილიზაციის საფუძველდებული ისტორიული და თანამედროვე თეორიულ-მეცნიერული და მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი თეორიებისა და კონცეფციების კონცეპტუალურ ინოვაციათა გაცნობისა და მრავალმხრივი კონტექსტუალური ანალიზის მიდგომით, რაც დაადასტურა ვიზიტის დროს შესაბამისი კურსების განმახორციელებელმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. თუმცა, თავად პროგრამაში, განსაკუთრებით კი აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში ნაკლებად ხდება აღნიშნული კურსების სოციალურ მეცნიერებებისთვის რელევანტურ ჭრილში განხილვის მიზნით გამოყენებაზე აქცენტირება და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პროგრამა ჰუმანიტარული მეცნიერებების ლოგიკით უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობას უქმნის კურსდამთავრებულს, რაც არაა მართებული. სასურველია, რომ აღნიშნული კურსების მულტი და ინტერდისციპლინურ ჭრილში ინტერპრეტაციაზე მეტი აქცენტის კეთება და ამ კურსების საერთო პროგრამულ შედეგებთან შესაბამისი დაკავშირება.

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტებით:

□ საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულის შემადგენლობაში გაერთიანებული ზოგად-საუნივერსიტეტო საგნების ფართო სპექტრი ხელს უწყობს ზოგადი განათლების დონის ამაღლებასა და შემეცნებითი ინტერესების სფეროსა და თვალსაწიერის გაფართოებას. იკვეთება აქცენტირება - სპეციალობისთვის რელევანტური ინგლისური ენის B2 დონეზე დაუფლებით - სასწავლო პროცესში უცხოენოვანი პირველწყაროებისა და სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის ინტენსიურად გამოყენებასა და ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბება-განვითარებაზე. სასწავლო კურსების ათვისების შედეგად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 50 კრედიტი.

□ სოციალური მეცნიერების საბაზო განათლების მოდული ორიენტირებულია მიმართულების საბაზო ცოდნის დახვეწასა და განვითარებაზე. კომპონენტის სასწავლო საგნებით გათვალისწინებულია კვლევის სრულყოფილად დაგეგმვისა და განხორციელების მიღწევის უნარების განსავითარებელი რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიის ათვისება; ასევე - თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მიმართ გაჩენილი აკადემიური ინტერესების ინტელექტუალური პერსპექტივიდან დანახვა და დაკმაყოფილება. სასწავლო კურსების ათვისების შედეგად სტუდენტმა უნდა დააგროვოს

30 კრედიტი.

□ სოციალური მეცნიერების ძირითადი განათლების მოდული დაკომპლექტებულია სოციალური მეცნიერებების მრავალფეროვანი კვლევითი სფეროს შესასწავლად გამიზნული ძირითადი თეორიული და პრაქტიკული კურსებით - გათვალისწინებული ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალმხრივი ასპექტების სისტემური გაცნობა-შესწავლისათვის [დისციპლინის თავისებურებებზე დამოკიდებული კვლევის მეთოდოლოგიით]. სასწავლო კურსების ათვისების შედეგად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 115 კრედიტი.

□ სპეციალობის არჩევითი საგნების მოდულის გეგმა ითვალისწინებს ხელშეწყობას სტუდენტისთვის - საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გაიღრმავოს ცოდნა სპეციალობის სხვადასხვა მიმართულებით. სასწავლო კურსების ათვისების შედეგად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 20 კრედიტი.

□ პრაქტიკული განათლების საგნების მოდულის კომპონენტი მოიცავს 'მუშაობას ორგანიზაციაში' და 'საველე პრაქტიკას'. ორგანიზაციის სამუშაო პროცესში ჩართვით - სტუდენტს ეძლევა რეალური საშუალება განავითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებით; ასევე - საკუთარი შესაძლებლობებით გამოსცადოს ადაპტირების რესურსი სამუშაო გარემოში, გაივარჯიშოს სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში და გამოიმუშავოს ახალი კომპეტენციები - ფაქტობრივად, მოემზადოს მიღებული კვალიფიკაციით დასაქმებისთვის.

□ საველე პრაქტიკა ითვალისწინებს პირველკურსელთათვის საქართველოს რომელიმე კუთხეში [დაცულ ტერიტორიაზე] ათი დღის განმავლობაში საველე პირობებში დაბანაკებას, რაც ხელს უწყობს გუნდური მუშაობის პრინციპული უნარების გამომუშავებას და უცხო გარემოს რთულ პირობებთან ადაპტირებით სხვადასხვა ტიპის დავალების დაძლევას.

□ არჩევითი საგნები - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის პრინციპით - კრედიტების საშუალოდ 8% არჩევითი სასწავლო კურსების - თავისუფალი კომპონენტის ხვედრითი წილია, რაც სტუდენტს აძლევს სასწავლო საგნების თავისუფალი არჩევანის საშუალებას - მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. სასწავლო კურსების ათვისების შედეგად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 17 კრედიტი.

თითოეულ მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები უმეტესწილად ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია რელევანტური სავალდებულო წინაპირობებით - განსაზღვრულით პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილ დანარჩენ სასწავლო კურსებთან შესაბამისობაში. თუმცა, პროგრამის დაგეგმვის პროცესში რიგ საგნებთან მიმართებაში იკვეთება წინაპირობების სახით აუცილებელი სასწავლო კურსების ინტეგრირების საჭიროება, რათა პროგრამა გაცილებით ლოგიკურად და თანმიმდევრულად გამოიყურებოდეს. ასე მაგალითად, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის კურსს სასურველია წინ უძღოდეს საერთაშორისო ურთიერთობების კურსი, რაც პროგრამაში არ იძებნება. მიუხედავად იმისა, რომ თავად კურსის ავტორმა, აკრედიტაციის ჯგუფთან საუბარი განმარტა, რომ აღნიშნული კურსს, როგორც წესი, არ ირჩევენ სტუდენტები, რომელთაც საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმიდან საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი კურსი არ აქვთ გავლილი, მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროგრამაში აღნიშნული წინაპირობა აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. ამავდროულად, სასწავლო კურსს: „Libri Magni VII - US - აშშ პოლიტიკა“ - სჭირდება წინაპირობად პოლიტიკის შესავალი, მნიშვნელოვანია სტუდენტმა იცოდეს რა არის პოლიტიკა, სახელმწიფო, მმართველობა და ა.შ, რათა „Libri

Magni VII - US - აშშ პოლიტიკა“-ის სწავლის შედეგები მიღწევადად გამოიყურებოდეს.

კრედიტების საჭირო რაოდენობის დაგროვების შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაცია. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხის მინიჭება, ხშირ შემთხვევაში პროგრამის სახელწოდების მაიდენტიფიცირებელიც კი ხდება, მათ შორის აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილ რიგ დოკუმენტთან მიმართებაში - მაგ., სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და არა მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და წავლის შედეგების რუკა. ანალოგიური, ვეჭვობთ, ტექნიკური სახის შეცდომა იპარება სახელწოდებაში - სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა, რაც დასაზუსტებელი პროგრამის სახელიდან გამომდინარე.

აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ მართვის მოდულის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების როგორც შინაარსობრივი, ისე ანალიტიკური პოტენციალი საჭიროებს გაუმჯობესებას და პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე დამატებითი კურსების სახით წარმოდგენას. მასში როგორც მინიმუმ არაა წარმოდგენილი პოლიტიკის ანალიზის, როგორც პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ცოდნისა და უნარის გამომუშავებისთვის საჭირო კურსი იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი სწავლის ერთ-ერთი შედეგია.

პროგრამის კურიკულუმში გვხვდება თემატური გადაფარვები. შესაბამისად მიზანშეწონილია, პროგრამის კურიკულუმში მაქსიმალურად ინტერდისციპლინარული სწავლების შინაარსის მიზნობრივი დაბალანსების და, კერძოდ, საგნებს შორის თემატიკის გადაფარვის თავიდან აცილების მისაღწევად „ფილოსოფიის“ კურსის შინაარსი - 'ფილოსოფიური იდეების' ერთგვარად აკუმულირებული და თავისებურად ინტერპრეტირებული ფორმით - გაემიჯნოს „იდეების ისტორიის“ დისციპლინის თემატური მასალის ანალოგიას: I - სოკრატემდელი ფილოსოფოსები, სოფისტები, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ელინიზმის ფილოსოფია [მარკუს აგრელიუსი]; III - განმანათლებლობის ფილოსოფია, იმანუელ კანტი, ფრიდრიხ ჰეგელი, კარტეზიანული ფილოსოფია [რენე დეკარტი]; IV - ეგზისტენციალიზმის ფილოსოფია [ჟან-პოლ სარტრი, კარლ იასპერსი], კონტინენტური ფილოსოფია [ფრიდრიხ ნიცშე, სიორენ კირკეგორი]; II - შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის ზოგადი თემატიკა.

შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა მეტწილად თანმიმდევრულია და ლოგიკური და შინაარსთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, სწავლის შედეგები რა დონეზე მიიღწევა, საჭიროებს აქტიურ დაზუსტებას [დეტალურად განმარტებულია სწავლის შედეგების ნაწილში]. მისანიჭებელი საკვალიფიკაციო ხარისხი სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საბაკალავრო პროგრამის აღწერა და პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და შესაბამისად ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის - <http://freeuni.edu.ge/node/353>.

მტკიცებულებები/ინდიკატორები / კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა;
- მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში & თანდართული სათანადო დოკუმენტაცია
- „მართვისა და სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მტკიცებულება-დოკუმენტი“ [თბილისი - 2021]

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- პროგრამის თანმიმდევრულობისა და მარტივიდან რთულისკენ დაგეგმვის პრინციპის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და კონკრეტულ, შედარებით ზედა საფეხურის კურსების შედეგების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაში მოხდეს წინმსწრები საგნების ინტეგრირება. მაგალითად, მოხდეს საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი კურსის დამატება მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის კურსის ასაღებად; პოლიტიკური მეცნიერების შესავლისა და შედარებითი პოლიტიკის საგნის ინტეგრირება პროგრამის მესამე შედეგის მისაღწევად. პოლიტიკური მეცნიერების შესავალი კურსის აუცილებლობა იკვეთება სასწავლო კურსის: „Libri Magni VII - US - აშშ პოლიტიკა“ - გასავლელადაც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის კურიკულუმის ჰუმანიტარული დისციპლინის რვა სემესტრიანი სერიული ციკლის - 'დიადი წიგნები' [Libri Magni] და ოთხსემესტრიანი სერიული ციკლის 'იდეების ისტორია' სოციალურ მეცნიერებებისთვის რელევანტურ ჭრილში განხილვაზე მეტი აქცენტირება როგორც თავად პროგრამაში, ისე თითოეულ სილაბუსში, რათა ამ კურსების საერთო პროგრამულ შედეგებთან შესაბამისი დაკავშირება გაცილებით რელევანტურად გამოიყურებოდეს.
- სასურველია, რომ პროგრამის სახელწოდების გამოყენება ხდებოდეს ერთი და იგივე ფორით, მათ შორის აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და სახელდება - სოციალურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა არ გამოიყენებოდეს მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ნაცვლად.
- მიზანშეწონილია, რომ მართვის მოდულის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების როგორც შინაარსობრივი, ისე ანალიტიკური პოტენციალი გაუმჯობესდეს და პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე დამატებითი კურსების სახით მასში ინტეგრირდეს მართვის დამატებითი საგნები - მინიმუმ წარმოდგენილი იყოს პოლიტიკის ანალიზის, როგორც პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ცოდნისა და უნარის გამომუშავებისთვის საჭირო კურსი იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი სწავლის ერთ-ერთ შედეგია.
- მიზანშეწონილია, პროგრამის კურიკულუმში მაქსიმალურად ინტერდისციპლინარული სწავლების შინაარსის მიზნობრივი დაბალანსების და, კერძოდ, საგნებს შორის თემატიკის გადაფარვის თავიდან აცილების მისაღწევად „ფილოსოფიის“ კურსის შინაარსი - 'ფილოსოფიური იდეების' ერთგვარად აკუმულირებული და თავისებურად ინტერპრეტირებული ფორმით - გაემიჯნოს „იდეების ისტორიის“ დისციპლინის თემატური მასალის ანალოგიას.
- სასურველია გაიზარდოს სტუდენტების პირდაპირი მონაწილეობის შესაძლებლობები პროგრამის შექმნასა და თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობაში მათი მონაწილეობის გზით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი / საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც ძირითადი/სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსები. იკვეთება კურიკულუმსა და სემესტრულ გეგმაში სასწავლო საგნების შეფარდებითი დაგეგმვისა და განაწილების პრინციპის ადეკვატურობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.

უნივერსიტეტში შემუშავებულია სილაბუსის შედგენის სტანდარტული ფორმა. საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი სასწავლო მასალა ეყრდნობა სფეროს აქტუალურ და უახლოეს მიღწევებს, თანამედროვე ტენდენციებს. ამასთან, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საგნით გათვლილი სწავლის შედეგებს [თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე 1 კრედიტი მოიცავს 28 საათს] და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება უმეტესწილად ხდება სამომავლო მოქმედების და არა დამდგარი (დასრულებული) სწავლის შედეგის სახით, რაც საჭიროებს გაუმჯობესებას.

სოციალური მეცნიერების საბაზისო სილაბუსი - რაოდენობრივი კვლევის მეთოდები არ ფარავს ექსპერიმენტს როგორც სოციალური მეცნიერებათა კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიდგომას, შესაბამისად სასურველია აღნიშნული თემის ინტეგრირება რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სილაბუსში.

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნის „ფსიქოლოგია“ მეორე მოდული - „სოციალური ფსიქოლოგია“ საკითხავი მასალის მითითების გარეშე, ხოლო მესამე მოდული- „პიროვნება“ მოიცავს ისეთ ძირითად ლიტერატურას, რომელიც საჭიროებს გადახედვას და თანამედროვე ლიტერატურით ჩანაცვლებას.

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსი - ლიტერატურა და ხელოვნება არაა გამყარებული შესაბამისი ლიტერატურით, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურის კუთხით.

სასწავლო კურსი „თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები“ თავსებადი არაა

სახელწოდებასთან და თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიების ნაცვლად ეხება კლასიკურ პოლიტიკურ იდეოლოგიებს რიგ გამოც, სასურველია დაზუსტდეს საგნის სახელწოდება.

სასწავლო კურსი - საჯარო პოლიტიკის პროცესი II სასურველია დაზუსტდეს როგორც პრაქტიკუმი, ვინაიდან სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათები მთლიანად ეთმობა მოწვეული სტუმრების პირობებში წარმოდგენილი თემატიკის განხილვას.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, იმაზეც ხაზგასმა, რომ რვა სემესტრიანი სერიული ციკლი - 'დიადი წიგნების' [Libri Magni] სილაბუსები Libri Magni 6 (ისიც, მოლოდ თავად ბორხესის რამდენიმე მოთხრობის დონეზე) და 7 -ის გარდა, ძირითად ლიტერატურაში მხოლოდ ერთ საკითხავ მასალას, თავად შესაბამისი სახელწოდების დიად წიგნს ეყრდნობა, რაც იმ პირობებში, როცა როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა, კურსის მიზანი ამ განსახილველი ტექსტის სხვა ტექსტებთან შედარება, წიგნის შექმნის ისტორიული და სოციალური კონტექსტის გაანალიზება და მასში წამოჭრილი პრობლემური საკითხების სოციალური მეცნიერებებისთვის რელევანტურ თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირებაა, შეუძლებელია ჩაითვალოს მისაღებად და გამყარებული უნდა იყოს აღნიშნული დიადი წიგნების შესახებ რელევანტური სხვა როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურით.

პროგრამაში ფილოსოფიის სწავლება 2 კურსის საფუძველზე ხორციელდება: „ფილოსოფია“ და ' „ფილოსოფია როგორც პრობლემის გადაჭრის დისციპლინა“. მსგავსი სახელწოდებების გამოყენება ალოგიკურია, ვინაიდან ერთმანეთის პარალელურად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს 'ორგვარი' „ფილოსოფია“ ანუ ერთი და იმავე მეცნიერების დარგის სახელწოდების შესატყვისი სასწავლო საგანი ურთიერთგანსხვავებული სტატუსით: ერთი - 'სპეციფიკური' „ფილოსოფია როგორც პრობლემის გადაჭრის დისციპლინა“ და მეორე - „ფილოსოფია“ - რომელიც შეიძლება გავიგოთ როგორც პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას მოკლებული დისციპლინა ანუ 'ნაკლოვანი ფილოსოფია'. შესაბამისად, მიზანშეწონილია, „ფილოსოფიის“ სასწავლო კურსის ჩანაცვლება მოდიფიკაციური ვერსიით - „შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში“, რითაც კურიკულუმის სტრუქტურაში მოიხსნება ერთგვარი ალოგიკურობის ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია ამ სახელწოდებებით მოქმედი კურსებით - „ფილოსოფია“ და ' „ფილოსოფია როგორც პრობლემის გადაჭრის დისციპლინა“.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ „ფილოსოფიის“ სასწავლო კურსი ნაკლებად არის მიმართული ფილოსოფიის დარგობრივი ტერმინოლოგიისა და პრაქტიკული ფილოსოფიის დარგთაშორისი ცნებით აპარატზე, რომელიც პროგრამის ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე ფილოსოფიის სოციალურ მეცნიერებებთან დასაკავშირებლად რელევანტური. საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კონტექსტთან შესაბამისობაში, მიზანშეწონილია, „ფილოსოფიის“ დისციპლინა კურსის მიზანში გაცხადებული „ფილოსოფიური აზროვნების წესისა და ფილოსოფიის ბაზისური ტერმინოლოგიის გაცნობის“ რეალიზაციის თვალსაზრისით მიმართული იყოს თეორიული ფილოსოფიის დარგობრივი ტერმინოლოგიისა და პრაქტიკული ფილოსოფიის დარგთაშორისი ცნებითი აპარატის ინტერდისციპლინარული კონტექსტის ცოდნაზე, რაც კურიკულუმის არა მხოლოდ წარმოდგენილი, არამედ სოციალური მეცნიერებების ნებისმიერი პოტენციური ინტეგრალური მოდულისათვის შექმნის რელევანტურ აპრიორ-საფუძველს - ფილოსოფიის ცოდნის დარგის აქსიომატური პრერეკვიზიტობისთვის.

„იდეების ისტორიის“ სასწავლო კურსში მითოლოგიური ჰიპოთეზების, რელიგიური სისტემების, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი იდეების, პოლიტიკური მოძღვრებების და მხატვრულ-ლიტერატურული თეორიების კონტექსტუალიზაცია და აპლიკაცია ხორციელდება ზოგად-კონცეპტუალური სახით და არა თითოეული მათგანის

სოციალური გენეზისის კონკრეტულ პრობლემებზე აქცენტირებული ანალიზით. შესაბამისად, კვალიფიკაციის დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, სასურველია, „იდეების ისტორიის“ სასწავლო კურსის თემატურ მასალაში წარმოდგენილი მითოლოგიური ჰიპოთეზების, რელიგიური სისტემების, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი იდეების სოციალური გენეზისის კონკრეტულ პრობლემებზე აქცენტირება მეტად დეტალურად განხორციელდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა; • მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში & თანდართული სათანადო დოკუმენტაცია; • კურიკულუმი - სემესტრული გეგმა - სასწავლო კურსების სილაბუსები • სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში - უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს მონაცემები; • სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში - საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს მონაცემები; • აკადემიური და მოწვეული პედაგოგიური პერსონალის პირადი საქმეები/CV; • სტუდენტთა კითხვარების შედეგების ანგარიში [2019-2020 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი].
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები • რეკომენდირებულია პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების უმრავლესობა, ისევე როგორც სასწავლო კურსის ფარგლებში წარმოდგენილი თემატიკა გამყარებული იყოს შესაბამისი საკითხავი, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ნათლად, დამდგარი (დასრულებული) სწავლის შედეგის (და არა სამომავლო მოქმედების) წარმოდგენით. • სასურველია კურსის - „რადიკალიზაციის კვლევის მეთოდების“ სილაბუსის თემატიკას დაემატოს ექსპერიმენტი, როგორც სოციალური მეცნიერებათა კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიდგომა. • სასურველია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნის „ფსიქოლოგია“ მეორე მოდული - „სოციალური ფსიქოლოგია“ დაზუსტდეს საკითხავი მასალის მითითებით, ხოლო მესამე მოდულის - „პიროვნება“ ფარგლებში წარმოდგენილი ლიტერატურა გადაიხედოს და ჩანაცვლდეს თანამედროვე ლიტერატურით. • სასურველია, სასწავლო კურსის „თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიების“ დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს მის შინაარსთან და ეწოდოს ან შესავალი პოლიტიკურ იდეოლოგიებში ან კლასიკური პოლიტიკური იდეოლოგიები. • მიზანშეწონილია, „ლიტერატურა და ხელოვნების“ და „ფილოსოფიის“ სასწავლო კურსის სილაბუსებში მიეთითოს გამოსაყენებელი ბიბლიოგრაფიული მასალა, ხოლო მითითების შემთხვევაში - არ იყოს წარმოდგენილი მხოლოდ თემატური ტექსტი-პირველწყაროების დასახელებათა ჩამონათვალი - წიგნის ფორმატის ამსახველი ზუსტი საგამომცემლო რეკვიზიტების გარეშე.

• პროგრამის კურიკულუმში მაქსიმალურად ინტერდისციპლინარული სწავლების შინაარსის მიზნობრივი დაბალანსების პრინციპით - ფილოსოფიური მიმართულების მოქმედ სასწავლო კურსებში მიზანშეწონილია, „ფილოსოფიის“ სასწავლო კურსის ჩანაცვლება მოდიფიკაციური ვერსიით - „შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში“, რითაც კურიკულუმის სტრუქტურაში მოიხსნება ერთგვარი ალოგიკურობის ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია დღეს ამ სახელწოდებებით მოქმედი კურსებით - „ფილოსოფია“ და „ფილოსოფია როგორც პრობლემის გადაჭრის დისციპლინა“. • სასურველია „ფილოსოფიის“ სასწავლო კურსი ფარავდეს ფილოსოფიის დარგობრივი ტერმინოლოგიისა და პრაქტიკული ფილოსოფიის დარგთაშორის ცნებით აპარატს, რომელიც პროგრამის ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე ფილოსოფიის სოციალურ მეცნიერებებთან დასაკავშირებლად რელევანტური. • სასურველია, „იდების ისტორიის“ სასწავლო კურსის თემატურ მასალაში წარმოდგენილი მითოლოგიური ჰიპოთეზების, რელიგიური სისტემების, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი იდეების სოციალური გენეზისის კონკრეტულ პრობლემებზე აქცენტირება მეტად დეტალურად განხორციელდეს. • სასწავლო კურსი - საჯარო პოლიტიკის პროცესი II სასურველია დაზუსტდეს როგორც პრაქტიკუმი, ვინაიდან სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათები მთლიანად ეთმობა მოწვეული სტუმრების პირობებში წარმოდგენილი თემატიკის განხილვას. • მიზანშეწონილია, რომ რვა სემესტრიანი სერიული ციკლი - ‘დიადი წიგნების’ [Libri Magni] სილაბუსებს დაემატოს აღნიშნული წიგნების შესახებ რელევანტური სხვა როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურა, რაც განსახილველი ტექსტის სხვა ტექსტებთან შედარების, წიგნის შექმნის ისტორიული და სოციალური კონტექსტის გაანალიზებისა და მასში წამოჭრილი პრობლემური საკითხების სოციალური მეცნიერებებისთვის რელევანტურ თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირების შესაძლებლობებს გაუზრდის სტუდენტებს.	საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○	შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.	

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი და კერძოდ - მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა საგანგებო ყურადღებას უთმობს სტუდენტის თვალსაზრისის საკუთარი აკადემიური მდგომარეობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის აუცილებელი მეთოდებით უშუალო სარგებლობის შესახებ.

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია პროფესიული პრაქტიკის განხორციელების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოდელი დამოუკიდებელი კურსების სახით. პრაქტიკული განათლების დისციპლინათა მოდულით გათვალისწინებულ აქტივობებში ჩართვით სტუდენტისთვის უზრუნველყოფილია ორგანიზაციაში მუშაობისა და საველე პრაქტიკის გამოცდილებით შეძენილი პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა გამომუშავება-დახვეწის პრეროგატივა.

ინფორმაცია სავალდებულო საველე პრაქტიკის პირობების, მოთხოვნების და მასთან დაკავშირებული არსებითი საკითხების შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე რუბრიკებით „საველე პრაქტიკა პირველკურსელთათვის“ <http://freeuni.edu.ge/ge/node/553> და „საველე პრაქტიკა“ <http://www.freeuni.edu.ge/ge/node/567>.

დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს აქვთ რეალური შესაძლებლობა პრაქტიკული სტაჟირების კურსი გაიარონ საჯარო და კერძო ორგანიზაციებში, რაც მათთვის როგორც სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკით განმტკიცების, ასევე - დამატებითი პრაგმატული ინტერესების თვითრეალიზაციის უშუალო გარანტია, რაც დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროსაც აქტიურად დადასტურდა.

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის კონცეპტურ-ნიშანდობლივ მიზანთა შორის საპატიო ადგილს იკავებს სტუდენტისთვის შემოქმედებითი და ორიგინალური კვლევის წერილობით შესრულებაში მხარდაჭერა, რომლის კონკრეტულ მოდელს წარმოადგენს ‘ჯუნიორ პროექტის’ გამოყენება და შეფასება [მე-6 სემესტრი]. ამასთან, პროექტი - თავისი განხორციელებული შედეგებით - ერთგვარი კომბინირებული წანამდვარის ფუნქციას ასრულებს აკადემიურ-არგუმენტირებული წერისა და კრიტიკულ-ანალიტიკური კითხვის ხელოვნების მეთოდური გამომუშავების ეტაპობრივი პროცესის ევოლუციური წინსვლისა და სრულყოფისათვის. შესაბამისად, პროექტის ინტერესები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სტუდენტის სამომავლო აკადემიურ ტრაექტორიას და ხშირად საბაკალავრო ნაშრომის არჩევა-შესრულების საფუძველიც ხდება ხოლმე.

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების პრაქტიკაში არც თუ იშვიათად ფიქსირდება ფაქტი - უცხოენოვანი თარგმანის სახით ჩაიშვას საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამაზე - აპლიკაციის პაკეტში - როგორც სანიშნოდ გამოვლენილი სამეცნიერო ნაშრომი.

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლაში გამომუშავებული სააზროვნო-დისკურსიული უნარებისა და ფართო ინტელექტუალური ერუდიციის წყალობით [ინგლისური ენის B2 დონეზე სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობის

დართვით] სკოლის კურსდამთავრებულები სამაგისტრო საფეხურზე სწავლას არაერთგზის წარმატებულად აგრძელებენ სამი კონტინენტის მასშტაბით წარმოდგენილ საერთაშორისო უნივერსიტეტებში, რომელთა შორისაა University College London; Goldsmith, University of London; Kingston University London; გლაზგოს უნივერსიტეტი & University of Roehampton [დიდი ბრიტანეთი], Central European University [უნგრეთი], კიოტოს უნივერსიტეტი [იაპონია], University of California in Santa Barbara; University of Nevada, Reno & Hult International University [ამერიკის შეერთებული შტატები], გრონინგენის უნივერსიტეტი და ერაზმუს როტერდამის უნივერსიტეტი [ნიდერლანდები], მილანის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტრენტოს უნივერსიტეტი [იტალია], Barcelona Executive Business School [ესპანეთი] და რაც, თავის მხრივ, ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის უზრუნველსაყოფად ტრადიციული კომპონენტის გამაძლიერებელი ხელსაყრელი პირობების არსებობას.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით დაკავშირებული [საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელი] დამსაქმებლები პირადი ინტერვიუებისას აღიარებენ მართვის და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამორჩეული ინტელექტუალური რესურსისა და მულტიდისციპლინარული ცოდნის ეფექტს, ორიენტირებული კვლევა-ძიების, არგუმენტირებული დისკურსის, კრიტიკული ექსპრეს-ანალიზის და დივერსიფიცირებულ-ინოვაციური პრაქტიკულ-ტექნიკური მიდგომების საუკეთესო უნარებს - თანამედროვე მოთხოვნებით ფორმულირებული საქმიანი დავალების მაღალ ორგანიზებულ და ხარისხობრივ დონეზე შესრულების ოპტიმალურ გარანტად.

მიუხედავად ამ საუკეთესო პრაქტიკისა, პრაქტიკული კომპონენტის „მუშაობა ორგანიზაციაში“ ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი 16 მემორანდუმების პირობებში საჭიროებს გაუმჯობესებას და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან (პრაქტიკის მიზნის, ხანგრძლივობისა და სტუდენტთა რაოდენობის მითითებით) სასურველია, რომ დოკუმენტურადაც დასტურდებოდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა;
- მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში & თანდართული სათანადო დოკუმენტაცია;
- სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში - უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს მონაცემები;
- სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში - საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს მონაცემები;
- „მართვისა და სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მტკიცებულება-დოკუმენტი“ [თბილისი - 2021]
- „მუშაობა ორგანიზაციაში“ დოკუმენტის მონაცემები [2019-2020]
- „გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის“ დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები [2015-2020]
- „Junior პროექტში სტუდენტთა მონაწილეობის“ დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები [2016-2019]

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

• აკრედიტაციის სტანდარტებიდან გამომდინარე, მოხდეს პრაქტიკული კომპონენტის „მუშაობა ორგანიზაციაში“ ინსტიტუციონალიზება და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად რეკომენდირებულია გაფორმდეს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან (პრაქტიკის მიზნის, ხანგრძლივობისა და სტუდენტთა რაოდენობის მითითებით).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) / მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამით წარმოდგენილი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევი სწავლება-სწავლის მეთოდების შემუშავებას, რაც სასწავლო პროცესის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე დაფუძნების წინაპირობაა. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გამომუშავებაზე. მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო საგნის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მაქსიმალურ აქტივაციასა და რეალიზებას. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში განსაკურებული აქცენტი კეთდება სწავლების ე.წ. სოკრატეს მეთოდზე, რომელიც საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ოთხივე წლის მანძილზე სასწავლო პროცესის წამყვან მოდელადაა წარმოდგენილი. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ამ მეთოდის მიღმა მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა სხვა არაერთ მეთოდს ეყრდნობა, რაც სოკრატეს მეთოდის დომინანტობის პირობებში არაა წინ წამოწეული. მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი ტრადიციული მეთოდები, როგორიცაა ინტერაქტიული ლექცია, ჯგუფში პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდებით სარგებლობისას გამოიყენება შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია/ინდუქცია, ანალიზი/სინთეზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, გონებრივი იერიში, შედარებითი მეთოდი, ევრისტიკული მიდგომა და სხვა. თუმცა, სასურველია ამ მეთოდების კლასიფიცირება და გაცილებით მეტად დაკონკრეტება სალექციო მუშაობის მეთოდებისა და ჯგუფში აქტივობების ანუ პრაქტიკული მუშაობის მეთოდების მიხედვით. ამ შემთხვევაში აცილებული იქნება 'ჯგუფური მუშაობისა' და 'პრაქტიკული მეთოდების' როგორც ცალკე აღებული მეთოდის ტიპის ფორმალური გამოყენება და იქნება დაკონკრეტებული რომელი მეთოდი გამოიყენება ჯგუფებში მუშაობისა და პრაქტიკული დავალებების შესრულების დროს. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდოლოგია ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება შეფასების ისეთი ფორმები, როგორიცაა: საშინაო დავალება, ტესტი, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოს გარჩევა, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების გაზომვის მეთოდები გაწერილია შესაბამის სილაბუსებში.	მტკიცებულებები/ინდიკატორები / კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა; • მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში - თანდართული დოკუმენტაცია; • სასწავლო კურსების სილაბუსები. რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომების განსაზღვრისას, მიზანშეწონილია იმის გათვალისწინება, რომ ინტერაქტიური მეთოდი, როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების ფართოდ გამოყენებული და აპრობირებული წესების სისტემა, მოცემულ შემთხვევაში - პროგრამის კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან და ლიბერალური განათლების სოციალური კონტექსტის
--	---

თავისებურებიდან გამომდინარე - არ გულისხმობდეს მხოლოდ ე. წ. 'სოკრატეს მეთოდის' დომინანტობას, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია წარმოდგენილი და იტოვებდეს რესურსს სხვა მეთოდების დასაინტეგრირებად, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ამ რეალობას პროგრამა ნამდვილად ადასტურებს. • სასურველია, მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების კომპონენტის შემადგენლობა უფრო დაკონკრეტდეს [მეტად გაზომვადი შედეგების მისაღწევად], კერძოდ - მასში გამოიყოს მეთოდოლოგიის ორი სექტორი: სალექციო მუშაობის მეთოდები და ჯგუფში აქტივობების ანუ პრაქტიკული მუშაობის მეთოდები [შესაბამისად, 'ჯგუფური მუშაობა' და 'პრაქტიკული მეთოდები' - როგორც ცალკე აღებული მეთოდის ტიპის - ფორმალური დასახელება გაუქმდეს]. მითითებულ კორექტირებულ სქემაში მიზანშეწონილი იქნება გარკვეული ცვლილებების შეტანა როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი ასპექტით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულების მიხედვით, დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო და თუ სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად. ამასთან, სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრები და ჯამში ორივეში ერთად მიიღო დადებითი შეფასება (A, B, C, D, E). სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან, ამასთან სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დადგენილია შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი, ხოლო შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორიცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, დებატები, დისკუსია და ა.შ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში, კერძოდ: 1. ეკონომიკის საფუძვლები, 2. თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები, 3. კავკასია და საქართველო, 4. ქვევითი ეკონომიკა, 5. რელიგია და პოლიტიკა, 6. რელიგიების საფუძვლები (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი), 7. Libri Magni I, 8. Libri Magni II და 9. Libri Magni VIII არ არის მოცემული დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები, სილაბუსებში მოცემულია მხოლოდ ზოგადი შეფასების რუბრიკები, თუმცა არ კონკრეტდება გამოცდის ფორმატი და შეფასების რომელი მეთოდი (ტესტი, ესე, ღია შეკითხვა, კაზუსი თუ სხვა) რომელი რუბრიკითა და კრიტერიუმებით ფასდება, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 (2007 წლის 5 იანვარი) ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით სავალდებულოა, შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების ფორმატის დაკონკრეტება და შეფასების მეთოდების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მითითება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული კომპონენტის „მუშაობა ორგანიზაციაში“ სილაბუსში დამსაქმებლის მხრიდან სტუდენტის შეფასება გულისხმობს მხოლოდ 20 ან 0 ქულით შეფასებას, კერძოდ სილაბუსში წერია:

- „დამსაქმებლის დახასიათება - საბოლოო შეფასების - მაქსიმალური ქულა - 20
- 20: სტუდენტს აქვს დამსაქმებლისაგან დადებითი დახასიათება ჩაბარებულ
- 0: სტუდენტს არ აქვს დამსაქმებლის დახასიათება ჩაბარებული.“

შესაბამისად, რეკომენდებულია შემუშავდეს დამსაქმებლის მხრიდან სტუდენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები, რათა შეფასება იყოს გაზომვადი და სტუდენტი არ ფასდებოდეს მხოლოდ 20 ან 0 ქულით.

ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის დროს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერთან ინტერვიუმ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი უზრუნველყოფს პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას, შესაბამისად პროგრამის პერსონალი იღებს ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის სათანადო მხარდაჭერას, რაც დადასტურდა ინტერვიუების პროცესში.

მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საბაკალავრო დებულების მიხედვით, არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX შეფასების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღსანიშნავია, რომ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში წერითი გამოცდების უმეტესობა ტარდება საგამოცდო ცენტრში, რომელიც 200 სტუდენტზეა გათვლილი. საგამოცდო ცენტრში სისტემურად შემცირებულია გადაწერისა და წყაროებით სარგებლობის რისკი, შეზღუდულია ინტერნეტზე წვდომა, თუ ეს არ არის ცენტრის მიერ დაშვებული, რაც დადასტურდა აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში, შესაბამისად მინიმუმამდეა დაყვანილი გამოცდის წერის პროცესში აკადემიური თაღლითობის რისკი.

მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა არჩევითი სახით მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვას, რომელიც ფასდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით პროსპექტუსი 5 ქულა, თავების სტრუქტურული გამართვა 10 ქულა; შუალედური პრეზენტაცია 10 ქულა, რეცენზენტის შეფასება 15 ქულა, საბოლოო ნაშრომი 25 ქულა (ხელმძღვანელის შეფასება), საჯაროდ დაცვა 20 ქულა, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში დეტალურადაა მოცემული თითოეულ ეტაპზე სტუდენტის შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები. ამასთან, სასურველია პლაგიატის პრევენციისთვის უსდ-მ დანერგოს ანტიპლაგიატის პროგრამა.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირის სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალის სისტემა (EMIS), ასევე როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „გამოცდების ჩატარების წესის“, მიხედვით, სტუდენტი უფლებამოსილია გააპროტესტოს შეფასება, ხოლო „ბაკალავრიატის დებულების“ მიხედვით, სტუდენტი უფლებამოსილია საგამოცდო ნაშრომის გადამოწმება მოითხოვოს საგნის ლექტორთან, ამასთან აკრედიტაციის ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სტუდენტის მხრიდან საგამოცდო შეფასების აპელაციის სურვილის შემთხვევაში სტუდენტი პირად კომუნიკაციას ამყარებს ლექტორთან, რომელიც სტუდენტს უხსნის თუ რატომ დააკლდა ქულა, შესაბამისად ბუნებრივია, რომ ამ პროცესში ყველა ლექტორი სხვადასხვა მიდგომას ამჟღავნებს და უსდ-ში არ არსებობს შედეგების გასაჩივრების უნიფიცირებული სისტემა, ამიტომ რეკომენდებულია მოხდეს სტუდენტის მხრიდან შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმის უნიფიცირება.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგს და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისძიებების გატარებას, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის

შედეგების შეფასებისა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმით, რაც გამოთხოვილ იქნა აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში.

რამდენიმე საგნის პირობებში (მაგ.,) შეფასების კომპონენტების გრადაციებს შორის ინტერვალები არათანაბარია, რაც დამატებით კითხვებს აჩენს შეფასების ობიექტურობასთან მიმართებაში და სასურველია, რომ ყველა სილაბუსში თანაბარ პროპორციული გრადაციების სისტემა დაცული იყოს. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ შეფასების გრადაციებში გვხვდება მნიშვნელოვანი გადაცდომები მის აღმწერებთან მიმართებაში განსაზღვრული ქულის თავსებადობის კუთხით, რაც „დიადი წიგნები V“-ის შემთხვევაში აქტიურად იკვეთება. კერძოდ, საბოლოო ნაშრომის 30 ქულიან სისტემაში, სადაც გრადაციები თითოეული ქულის მიხედვითა ჩაშლილი და მსგავსი სკურპულოზური აღწერის აუცილებლობა არც დგას, 21-30 ქულიანი გრადაციაში, მსგავსი 21 ქულის აღმწერი „ნაშრომი შესრულებულია ბრწყინვალედ, გააზრებულად, მასალის ღრმა და უჩვეულო ხედვით, გამართული მსჯელობით, წერის გამორჩეული ოსტატობით, მაგრამ გაპარულია რამდენიმე ენობრივ-სტილური შეცდომა და ზოგჯერ დასაბუთებას აკლია დამაჯერებლობა“ ნაკლებად უნდა ჩაითალოს 21 ქულის მიღების თავსებადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები /კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ბაკალავრიატის დებულება“ ;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „გამოცდების ჩატარების წესი“;
- აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის სამუშაოს აღწერილობა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (2007 წლის 5 იანვარი) ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ეკონომიკის საფუძვლები, 2. თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები, 3. კავკასია და საქართველო, 4. ქვევითი ეკონომიკა, 5. რელიგია და პოლიტიკა, 6. რელიგიების საფუძვლები (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი), 7. Libri Magni I, 8. Libri Magni II და 9. Libri Magni VIII სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების ფორმატისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა და მეთოდებიდან გამომდინარე შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მითითება.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს პრაქტიკული კომპონენტის „მუშაობა ორგანიზაციაში“ სილაბუსში დამსაქმებლის მხრიდან სტუდენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები, რათა შეფასება იყოს გაზომვადი და სტუდენტი არ ფასდებოდეს მხოლოდ 20 ან 0 ქულით და განხორციელეს 0-20-ს შორის შესაბამისი რანჟირების სისტემით.
- რეკომენდებულია, მოხდეს სტუდენტის მხრიდან შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმის ინსტიტუციონალიზება და უნიფიცირება. მიზანშეწონილია მართვის სკოლის ადმინისტრაციამ გამოკვეთოს და შეიმუშავოს სწავლის შედეგების გასაჩივრების უფრო ობიექტური და მოქნილი მექანიზმი; კერძოდ - დაფიქსირებული შეფასების ხელახალ გადახედვაზე ეფექტურობის ასამაღლებლად - სააპელაციო საქმის წარმოების პირველად ეტაპზე - გადაწყვეტილების მართებულობის სისწორის შემოწმება-დასადგენად უფლებამოსილება მიენიჭოს არა თავად სასწავლო კურსის

წამყვან-შემფასებელ ლექტორს, არამედ - სტუდენტთა დეკანატის სტრუქტურული რგოლის წარმომადგენლობაში ნეიტრალური პოზიციის მქონე სპეციალურ აკადემიურ პერსონალს, ხოლო პროცესის ეტაპობრივ მსვლელობაში - კონტროლის მექანიზმის ეთიკური პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია უსდ-მ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლის მიზნით დანერგოს პლაგიატის პროგრამა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის, მათ შორის ჯუნიორ პროექტისა და საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისთვის ძირითადი პრინციპების - სანდოობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის გასაძლიერებლად. • სასურველია საგამოცდო ნაშრომების დაშიფვრის მექანიზმის დანერგვა; • სასურველია საგნის სილაბუსებში, შეფასების ობიექტურობის პრინციპების გათვალისწინებით, მოხდეს შეფასების გრადაციებს შორის თანაბარი ინტერვალების დაცვა, ასევე განხორციელდეს კურსის შეფასების სისტემის გრადაციებში შესაბამის აღმწერებთან მიმართებაში განსაზღვრული ქულის თავსებადობის გადახედვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც სტუდენტებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ლექტორებისგან იღებენ დამატებით კონსულტაციებს. აღსანიშნავია, რომ პირველკურსელებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული სერვისების, მარეგულირებელი დოკუმენტების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ, ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტთა დეკანი, ბიბლიოთეკის თანამშრომლები და უნივერსიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ამასთან აღნიშნულ საორიენტაციო შეხვედრაზე სტუდენტებს უტარდებათ გაცნობითი ხასიათის ისეთი ზოგადი კურსები, როგორიცაა: აკადემიური წერა, ინფორმატიკა და ა.შ

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში დანერგილი სერვისები ეხმარება სტუდენტებს წარმატების მიღწევაში. სტუდენტი სისტემატურად ღებულობს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას და კონსულტაციას, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ საკითხებს, ასევე სოციალური ხასიათის და სხვა ტიპის სერვისებს, მათ შორის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური, რომლის სტრუქტურაში შედის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი, დასაქმების ოფისის ხელმძღვანელობს დასაქმების მენეჯერი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ურთიერთობს, ერთი მხრივ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან. აღნიშნული ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები CV-ის შედგენისა და გასაუბრების ტექნიკების შესახებ, ასევე იმართება

შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც დადასტურდა ვიზიტის პროცესში. ასევე უნივერსიტეტი მართავს დასაქმების ფორუმებს და რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. ამასთან დასაქმების მენეჯერი ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის მონიტორინგს, რაც დადასტურდა კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტების დეკანი და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური ახორციელებს სტუდენტებისათვის შემეცნებითი პროექტების დანერგვას და განვითარებას, ახდენს სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას, ეხმარება სტუდენტებს სხვადასხვაგვარი პრობლემების მოგვარებაში, რაც შეიძლება წარმოექმნას სწავლის პერიოდში, სამსახური ორგანიზებას უწევს სტუდენტურ ღონისძიებებს და მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და ახდენს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

აღსანიშნავია, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს აქვს ფართო თანამშრომლობა, უცხოურ უნივერსიტეტებთან და მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტები ჩართულები არიან საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და სემესტრულ მობილობებში.

უნივერსიტეტში არსებული სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს სტუდენტების დეკანი, ამასთან სტუდენტების დეკანი და მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. ასევე სტუდენტი იღებენ სათანადო კონსულტაციას საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით.

უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და მარეგულირებელი დოკუმენტების მეშვეობით შექმნილი გარემო სრულფასოვნად უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. სტუდენტის უფლებების სრულად დაცვის მთავარი გარანტი - ხელშეკრულება მას უფორმდება ჩაბარებისთანავე და სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ნებისმიერი ფორმალური ურთიერთობის მარეგულირებელი ხდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური - სტუდენტების დეკანის ფუნქცია-მოვალეობები;
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულების საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- უნივერსიტეტის სასწავლო მარეგულირებელი დოკუმენტები - ბაკალავრიატის დებულება, სტუდენტის ეთიკის კოდექსი, გამოცდების ჩატარების წესი

○ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამა თავს უყრის კომპეტენტურ და მაღალკვალიფიციურ კადრებს როგორც მასში ჩართული აკადემიური პერსონალის, ისე მოწვეული პერსონალის სახით.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. თუმცა, ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალის მიერ აფილირების ხელშეკრულების პირობების შესახებ დეტალები ნაკლებად იყო ცნობილი.

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებლები მაღალი არაა და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსაზღვრულ ფუნქციებს და ქმნის პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევის გარანტიებს.

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თუმცა, სასურველია, რომ ეს ბალანსი თავსებადი იყოს თავად უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებთან - პროგრამების აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან, რომლის მიხედვით, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების არანაკლებ 40 პროცენტი და მოწვეული ლექტორების არაუმეტეს 60 პროცენტი უნდა მონაწილეობდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში. დღეს ეს პროპორცია (23/41-ზე - 35%/64%) მცირედით დარღვეულია.

როგორც ეს დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის დროს გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციით დასტურდება, უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალს სთავაზობს პროფესიული მხარდაჭერ სისტემებს - კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა, პუბლიკაციების გამოქვეყნება საუნივერსიტეტო გამოცემებში და ა.შ. თუმცა, ეს პროცესი არ ატარებს ინსტიტუციურ ხასიათს და საჭიროებებიდან გამომდინარე იმართება. აღნიშნული მხარდაჭერი ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის ფლობის დონე ვიზიტის პროცესში მხოლოდ მეტწილად გამოიკვეთა.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ანალოგიურად ფასდება პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი. ხაზგასასმელია პროგრამის ხელმძღვანელის აქტიურად ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში და შესაბამისი ადამიანური რესურსების მობილიზებაში.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი დამაკმაყოფილებლად გამოიყურება, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლებით ბოლო ხუთი წლის მონაცემებით.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია მეტი ინფორმაცია ჰქონდეს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აფილიაციის პირობების შესახებ, ისევე როგორც სხვა მხარდამჭერი ინსტრუმენტების შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს საკუთარ აკადემიურ პერსონალს განვითარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. • სასურველია უნივერსიტეტი მეტად აქტიურად ადევნებდეს თვალს და იცავდეს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის საკუთარი რეგულაციებით დადგენილ ნიშნულებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის • განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა გუნდურობა და მაღალი ორგანიზაციული კულტურა, რაც პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევის გარანტორია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის

მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ უსდ აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას გამოკითხვებით (თვითშეფასების დოკუმენტი) და დაკავებულია შედეგების ანალიზით, რაც წარმოდგენილია თვითშეფასების დოკუმენტში.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა). პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში, რაც დასტურდება მათი პირადი მონაცემებით და თვითშეფასების დოკუმენტში აკუმულირებული ინფორმაციით.

თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მეცნიერის პროდუქტიულობის შეფასება ამჟამად პილოტირების პროცესშია და იტესტება, რათა მოხდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი საქმიანობის შეფასება იმ შედეგებით, რასაც მიაღწია ამა თუ იმ აკადემიურმა პერსონალმა დროის მოცემულ ვადაში. აღიშნული პილოტური შეფასების მეთოდი მოიცავს არა მხოლოდ ბიბლიომეტრულ მონაცემებს, არამედ ისეთ აქტივობებს, რომლებიც არ მონაწილეობენ მსგავსი ტიპის გამოთვლებში. უნივერსიტეტის განაცხადით. თვითშეფასების დოკუმენტიდან დგინდება, რომ შეფასების ეს მეთოდი მეცნიერის მოტივირების და რესურსების ადეკვატურად გადანაწილების საშუალებას იძლევა. მასში მოცემული შეფასებები გადანაწილებულია თითოეული პუნქტისთვის გაწერილი შესაძლო მაქსიმალურ დროის, დაკისრებული პასუხისმგებლობისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით. მეცნიერის ყოველწლიური საქმიანობა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინსტიტუტების მიხედვით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ცოდნის ფონდის მიერ გაწეული დაფინანსება; მეცნიერის მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული გრანტების მოცულობა და რაოდენობა; უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და ფართის ათვისება; Impact Factor-იან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და რეიტინგი, მეცნიერის ციტირების ინდექსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები; სასწავლო პროცესში ჩართულობა (აკადემიური დატვირთვა წლის განმავლობაში, საათების რაოდენობა) და წლის განმავლობაში დოქტორანტების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების რაოდენობა. აღნიშნული ანალიზით დაკავებულია სამეცნიერო სამსახურის კოორდინატორი და ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები გამოყენებულია აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით. თუმცა, ამ აქტივობათა უმრავლესობა, უმეტესწილად მაინც სასწავლო პროცესზეა ორიენტირებული და არ გამოიყენება კვლევითი პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით დაგეგმილი აქტივობებისთვის.

ხაზგასასმელია, რომ შეფასების ეს სისტემა მოიცავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასებას როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის კუთხით. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე ჯერ-ჯერობით აღნიშნული შეფასების სისტემა პილოტურ რეჟიმში ხორციელდება, ცნობილია მხოლოდ ის, რომ შეფასების შედეგები პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენება, ხოლო პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების მიზნით გამოყენების შესაძლებლობები ნაკლებად იკვეთება. სასურველია, რომ პილოტური რეჟიმიდან დროის მცირე მონაკვეთშივე მოხდეს შეფასების სისტემის სრულყოფილი ინტეგრირება

სამეცნიერო და სასწავლო პროდუქტიულობის შედეგებზე დაყრდნობით პერსონალის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და შემდგომი წახალისების მიზნით. უსდ-ს გააჩნია მექანიზმები აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და მათი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის წახალისებისთვის (კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა, სახელმძღვანელოების თარგმნა/გამოცემაში მხარდაჭერა და სხვა). თუმცა, როგორც ეს ინტერვიუებიდან დადგინდა, ეს უკანასკნელი არ ატარებს ინსტიტუციურ ხასიათს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამის საჭიროებაზეა მორგებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები. ○ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ამსახველი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, რომ პილოტური რეჟიმიდან დროის მცირე მონაკვეთშივე მოხდეს აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემის სრულყოფილი ინტეგრირება სამეცნიერო და სასწავლო პროდუქტიულობის შედეგებზე დაყრდნობით პერსონალის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და შემდგომი წახალისების მიზნით. • სასურველია, თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები და მოახდინოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული საჭიროებების დაკმაყოფილება არა წერტილოვანი დახმარებით, რასაც დღეს აქვს ადგილი, არამედ გამართული საუნივერსიტეტო ინსტიტუციური მექანიზმების ფორმალიზებული შეთავაზებით, რომლის საბიუჯეტო მხარდაჭერაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისად, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა აღნიშნულის ფინანსური რეზერვები გაწერილია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ადგილზე ვიზიტის დროს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესწავლის (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები, საგამოცდო ცენტრი, აუდიტორიები და სხვა) საფუძველზე პირველადი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე მიღებული შთაბეჭდილება გაცილებით გამყარდა. ვიზიტის დროს, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე განსაზღვრული ლიტერატურა მარტივად მოიძებნა საბიბლიოთეკო საძიებო სისტემით ბიბლიოთეკაში განხორციელებული ვიზიტის დროს და რაიმე ტიპის დაბრკოლებები ამ მხრივ არ შექმნილა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აქვე, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ასახული უნივერსიტეტის ვებგვერდზეც, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი სფეროს უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის და სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ, რაც ინტერვიუების დროსაც აქტიურად დადასტურდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები / კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია.
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;
- “2020 წლის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ალოკაცია მართვისა და სოციალური მეცნიერებების პროგრამაზე”.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი / საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვიზიტის ფარგლებში აკრედიტაციის ჯგუფმა მოითხოვა პროგრამული ბიუჯეტის წარმოდგენა, რაც უნივერსიტეტის რექტორის განმარტებით პრობლემურია, ვინაიდან საბიუჯეტო საქმისწარმოება პროგრამულ დონეზე უნივერსიტეტში არ ხდება. თუმცა, უნივერსიტეტმა, აკრედიტაციის ჯგუფის თხოვნა დააკმაყოფილა და დამატებით შემოგვთავაზა დოკუმენტი - “2020 წლის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ალოკაცია მართვისა და სოციალური მეცნიერებების პროგრამაზე”. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე ერთჯერადი, რომელშიც დაზუსტდა შრომის ანაზღაურების, სასწავლო საქმიანობის ანაზღაურების, ადმინისტრაციული საქმიანობის ანაზღაურების, სამეცნიერო საქმიანობის, სამეურნეო, მარკეტინგისა და კომუნიკაციების, იჯარის, ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების და სხვა სასწავლო ხარჯები. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე დგინდება, რომ ის საბიუჯეტო კონტრიბუცია, რომელსაც უნივერსიტეტი სწევს პროგრამის მხარდასაჭერად, სრულიად საკმარისია და ამავდროულად ქმნის მდგრადობის გარანტიებს პროგრამის ეფექტურობისა და სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ “2020 წლის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ალოკაცია მართვისა და სოციალური მეცნიერებების პროგრამაზე”.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსაკუთრებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი /
საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და სტრუქტურა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას შეინარჩუნოს „თხელი სტრუქტურის“ (Lean Structure) იდეა, რაც ემსახურება ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებას.

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები მონაწილეობენ ხარისხის კონტროლსა და განვითარებაში არა მხოლოდ ირიბად, ასევე პროცესებში პირდაპირი ჩართულობით. სამსახური ხელმძღვანელობს პრინციპით „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა ხარისხის შეფასების მიზნით თანამშრომლობს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან. აღნიშნული მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ატარებს გამოკითხვებს „SurveyMonkey“-ის პლატფორმის გამოყენებით. გამოკითხვის შედეგად, სტუდენტების მიერ ანონიმურად ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის, სასწავლო კურსებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შეფასება. აღნიშნული კვლევის გარდა ტარდება ინტერვიუები ფოკუს ჯგუფებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერს აწვდის ინფორმაციას კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით გამოვლენილ ხარვეზებზე. გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი აწყობს სემინარებსა და ტრენინგებს პერსონალის პედაგოგიური უნარების განვითარების მიზნით. ჩატარებული ტრენინგები ემსახურება სწავლების მეთოდების დანერგვას, სწავლების ელექტრონულ სისტემაში უწყისების გენერირების პროცესის გამართვას და ა.შ.

პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, ასევე შესაძლებელია პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პერიოდულად ესწრება სასწავლო კურსების მიმდინარეობას, სწავლების პროცესისა და მეთოდების შეფასების მიზნით. დაკვირვებების შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების გაზიარება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება ყველა ჩატარებული კვლევის შედეგების დამუშავება და გაანალიზება. მიღებული კვლევის შედეგები ეცნობა შესაბამის სამსახურებს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემის მიხედვით განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს გაეწია კონსულტაციები და მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნა პროგრამის სრულყოფის პროცესში.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას აკადემიური

და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში.

თუმცა, უნივერსიტეტის მიერ მხოლოდ ნაწილობრივ იქნა წარმოდგენილი შიდა ხარისხის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ, არ იქნა მოწოდებული შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი; აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები.

შესაბამისად, რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის მეტად ფორმალიზება, რაც გულისხმობს საქმიანობის ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

ასევე დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა მათი პროგრამის განვითარებაში სუსტი ჩართულობა; შესაბამისად სასურველია დამსაქმებლების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფა, შესაბამისი ანგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება მათი რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანგარიში;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის მეტად ფორმალიზება, რაც გულისხმობს საქმიანობის ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დამსაქმებლების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფა, შესაბამისი ანგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება მათი რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. პროგრამის წინა აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაკეთებული რეკომენდაციებისა და რჩევების და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განვითარებას და დახვეწას. პროგრამის გარე შეფასება განხორციელებულია დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების მიერ. ასევე, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით - პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; - პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანგარიში; - შრომის ბაზრის კვლევა; - ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; - ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით. ხორციელდება სტუდენტთა სასწავლო კურსით კმაყოფილების ანალიზი. მიღებული შედეგები მუშავდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.

როგორც პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტიდან ხდება ცხადი და ეს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს აქტიურად დადასტურდა, სკოლის მართვასა და პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც თავის დროზე მსგავსი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება აქვს მიღებული ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტებში, როგორიცაა ვაშინგტონის უნივერსიტეტი სენტ ლუისში, პრადის უნივერსიტეტი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი,

მილანის უნივერსიტეტი და ა.შ. შესაბამისად, პროგრამისა და სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ პროგრამის პერიოდული განახლებისა და ხარისხის მართვის ინსტრუმენტული მართვის პროცესში სწორედ ამ უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან ხდება შედარებების კეთება და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მონიტორინგის მიზნით პერიოდულად ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, ანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის. ასევე შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების მათთვის გაზიარება. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას, რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;

რაც შეეხება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაანალიზებას და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენებას, აღნიშნული მექანიზმი ჯერ არ არის ამოქმედებული და მისი განხორციელება იგეგმება სამომავლოდ. აუცილებელია, დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი დეტალურად აღწერს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაანალიზებისა და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენების პროცესებს, თუმცა პროგრამის კურიკულუმის რუკაში თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი არ გვიჩვენებს თუ რა დონით ავითარებს/მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ი. შესაბამისად, სასურველია სასწავლო კურსის სწავლის შედეგის პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობა განისაზღვროს მიღწევის დონის დაკონკრეტებით, მაგ: გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რუკის მაღალ დონეს პროგრამის ფუნქციონალთან მიმართებაში.

ასევე პროგრამის სწავლის შედეგების დოკუმენტში შეფასების ინდიკატორი არ გვიჩვენებს კონკრეტული სასწავლო კურსის რომელი აქტივობის/ფორმის მიხედვით ხდება სწავლის შედეგის შეფასება და რა დონით ხდება სწავლის შედეგის მიღწევა. შესაბამისად, სასურველია სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგის გაზომვისთვის საჭირო აქტივობა/ფორმა და ასევე შეიქმნას ამ შედეგის გაზომვის ინდიკატორის დონე (მაგ: ვერ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს ან სხვა მსგავსი სისტემა), რაც უზრუნველყოფს შემდგომი სტატისტიკური ანალიზის მაღალ რეპრეზენტაბელობას. შეფასების აღნიშნული მეთოდების გაუმჯობესება უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და უკეთ გაზომვას.

უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების წარმოდგენაში. ანგარიშებში აისახება ინფორმაცია, მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ. აუცილებელია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანგარიში;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის / არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;
- სასურველია სასწავლო კურსის სწავლის შედეგის პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობა განისაზღვროს მიღწევის დონის დაკონკრეტებით, მაგ: გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რუკის მაღალ დონეს პროგრამის ფუნქციონალთან მიმართებაში;
- სასურველია სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგის გაზომვისთვის საჭირო აქტივობა/ფორმა და ასევე შეიქმნას ამ შედეგის გაზომვის ინდიკატორის დონე (მაგ: ვერ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს ან სხვა მსგავსი სისტემა), რაც უზრუნველყოფს შემდგომი სტატისტიკური ანალიზის მაღალ რეპრეზენტაბელობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ არის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ბაკალავრიატი.

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 53 გვერდი.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				
---	--	--	--	--

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანა მაჭარაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მაია მესტვირიშვილი

ირმა ზაგრატიონი

ილია ბოცვაძე

ნიკა გიგაური